1 ივლისი

2017 შაბათი

დაბ 18,1-15; საგ.: ლკ 1,46-55; მთ 8,5-17

მოვალ და განვკურნავ მთ 8,7

ჩვენც მოგიხმობთ, იესო: მოდი! მოდი ჩვენს გულებში, მოდი ჩვენთვის ძვირფასი ხალხის გულებში, მოდი ყოველი ადამიანის გულში! წმიდა სულის ძალით განკურნე, განაახლე, განაძლიერე! აღგვიდგინე ზეციერი მამის შვილის მშიდი და მანათობელი, მდაბალი და გულმოწყალე სახე!

2 ივლისი

რიგითი XIII კვირადღე, «ა», [I], მწ

2017 ვირა

4მეფ 4,8-11.14-16; ფს 88; რომ 6,3-4.8-11; მთ 10,37-42

ვინც თქვენ გღებულობთ, მე მღებულობს მთ 10,40

იესო თავის მოწაფეებს ელაპარაკება; ის-ის იყო აუხსნა მათ, რომ მხოლოდ ვინც საკუთარ გულში მას აყენებს პირველ ადგილზე, იგია ნამდვილი მოწაფე. თუკი მივიღებთ იესოს, შევეცდებით დავიცვათ მისი სიტყვები, ჩვენი ძმები ჩვენი შეხვედრით შეხვდებიან თავად იესოს და ჩვენი საშუალებით მიიღებენ მის ნათელს და მის სიცოცხლეს.

3 ივლისი

წმ. თომა მოციქული, (დ), [ს], წ

2017 **ორშაბათი**

ეფ 2,19-22; ფს 116; იო 20,24-29

თუკი ნალურსმევს არ ვიხილავ,
არ ვირწმუნებ იო 20,25

ეს თომა მოციქულის სიტყვებია. იესო, შენ დიდი გულმოწყალება გმოიჩინე ამ შენი მოციქულისადმი: მიეცი მას ნიშანი, რასაც ითხოვდა, რათა შესძლებოდა რწმენა. მაგრამ გამოუცხადე მას ისიც, რომ ნამდვილი ნეტარი ისაა, ვისაც სწამს ხილვის გარეშე. მადლობა, რომ ჩვენც გვიგზავნი შენს მოციქულებს. ჩვენა გვწამს მათი ნაუწყები და ამ რწმენით ნეტარნი ვართ, უკვე შენთან ვართ.

4 ივლისი

2017

რიგითი XIII კვირა [I] მწ

წმ. ელისაბედ პორტუგალიელი , + 1336

სამშაბათი

დაბ 19, 15-29; ფს 25; მთ 8,23-27

გვიხსენ, უფალო, ვიღუჭებით! მთ 8,25

აბობოქრებულ ტბაზე ნავში მოწაფეებს ახლო ჰყავდათ იესო. ამ წუთისოფლის ქარიშხლებში ჩვენ გვსურს ახლო ვიყოთ იესოსთან, მის ეკლესიაში: იგი შეძლებს ჩვენს დახსნას!

5 ივლისი

2017

რიგითი XIII კვირა [I] მწ

წმ. ანტონ მარია ზაქარია, ხუც., +1539

ოთხშაბათი

დაბ 21,5.8-20; ფს 33; მთ 8,28-34

მთელი ქალაქი გამოეგება იესოს მთ 8,34

რა სამწუხაროა, რომ ის ქალაქი იესოს მისაპატიჟებ-ლად არ გამოგებებია, არამედ იმის სათხოვნელად, რომ გასცლოდა იგი მათ მიწებს! რომ მიეწვიათ, რა-ოდენ ლამაზი გახდებოდა მათ ქალაქში ცხოვრება! გინდ პირადი, გინდ ოჯახური თუ საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელსაც მიუძღვის იესოს სიყვარული და მისი სიბრძნე, მიწიერ სამოთხედ იქცეოდა. შე-ვეცდები თავი ვანებო იესოს უარმყოფელთა მსგავს აზროვნებას და ქმედებას და დავყები მას, რათა მი-ვაწოდო სიყვარული, გულმოწყალება და მშვიდობა ყველას ვისაც შევხვდები.

6 ივლისი

რიგითი XIII კვირა [I] მწ

წმ. მარია გორეტი, ქალწ. და მოწ., +1902

2017 ხუთშაბათი

დაბ 22,1-19; ფს 114; მთ 9,1-8

ისიც წამოდგა და წავიდა თავის სახლში მთ 9,7

ვფიქრობ ჩვენზე, როცა ვღებულობთ უფლის მიტევებას მისი მსახურის ხელით, სახლში ვბრუნდებით იმ დავრდომილის მსგავსად. მიტევებასთან ერთად გულით მოგვაქვს ის სიხარული, რაც იბადება მამის სიყვარულისა და გახსნილი გულის შეგნებიდან და და ძალა, რათა კვლავაც ვემსახურო ძმებს.

7 ივლისი

2017

პარასკევი

დაბ 23,1-4.19; 24,1-8.10.62-67; ფს 105; მთ 9,9-13

წყალობა მსურს და არა მსხვერპლი მთ 9,13

დიახ, მამას არა სჭირდება ჩვენგან რელიგიური რიტუალები! სწადია, გულით ვატაროთ მისი სიყვარული ყველა ადამიანის მიმართ: იესო მათთვის მოვიდა. რიტუალების დანიშნულებაა, ასაზრდოოს ეს სიყვარული. წმიდა პავლე კორინთელებისადმი მიწერილ წერილში აცხადებს, რომ თუკი არ გაგვაჩნია ღვთისადმი სიყვარული, ყველაფერი ის, რასაც ვაკეთებთ, არაფრადა ღირს. წმიდა ავგუსტინემ კი მოკლედ გამოთქვა: „გიყვარდეს და რაც გინდა ქენი“. გულმოწყალების წელიწადი ვერ დასრულდება!

8 ივლისი

2017 შაბათი

დაბ 27,1-5.15-29; ფს 134; მთ 9,14-17

ახალ ღვინოს ახალ ტიკვებში ასხამენ მთ 9,17

თუკი გულში გვიზიხარ, იესო, ყოველივე ახალია! შენ მელაპარაკები, მეგზურობას მიწევ, მიმითითებ მამის ნებას, ნაბიჯ-ნაბიჯ... ვერ ჩავებღაუჭები ჩემს ნივთებს, ვერ მივეჯაჭვები ჩემს ღმრთისმოსაობის საქმეებსაც კი! იესო, შენ გსურს რომ იყო ჩემი საუნჯე, ჩემი მაცხოვარი!

9 ივლისი

რიგითი XIV კვირადღე, «ა», [II], მწ

2017 კვირა

ზაქ 9,9-10; ფს 144; რომ 8,9.11-13; მთ 11,25-30

ყოველივე მამისაგან მომეცა მთ 11,27

იესო, მამამ მთელი თავისი სიყვარული ჩადო შენს ხელებში, რადგან მხოლოდ შენ იცნობ მას და მზადა ხარ სრულად განახორციელო ის. მადლობა, იესო, რადგან შენი სიკვდილითა და აღდგომით განახორციელე და კვლავაც ახორციელებ ჩემთვისა და მთელი კაცობრიობისათვის. ამისათის დღეს, როდესაც შენი დღეა, ვმონაწილეობ ევქარისტია-ში: კიდევ უფრო ახლო გამაცნობ მამას და შვებას მომგვრი შენს მდაბალ გულში.

10 ივლისი

2017

რიგითი XIV კვირა [II]

(27.VI) წმ. გიორგი მთაწმინდელი, +1065, (მ), თ

ორშაბათი

დაბ 28,10-22; ფს 90; მთ 9,18-26

აჭვა, შენთანა ვარ შენს დასაცავად დაბ 28,15

უფალი მუდამ ჩვენთანაა და ჩვენთვისაა და გვიფარავს ჩვენ; ამის ჩრდილი დააგემოვნეს მამამთავრებმა; ახლა კი მისი სიახლოვე სავსეა, სრულყოფილი, ჩვენში და ჩვენს გვერდით: იესო დაპირდა ამას თავის ეკლესიას. ვაუწყებთ ამას ჩვენი ნდობითა და გასაჭირში გამძლეობით, და სიყვარულით, რომელსაც მივიღებთ მისგან და გადავცემთ ძმებს.

11 ივლისი

2017

წმ. ბენედიქტე, აბატი, +547
ევროპის მფარველი დ, [ს], თ

სამშაბათი

იგ 2,1-9; ფს 33; მთ 19,27-29

რაბათში ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

მიიღებს ასმაგს და სათუკუნო-
სიცოცხლეს დაიმკვიდრებს მთ 19,29

მას, ვინც შენ მოგყვება, იესო, შენდამი სიყვარული-
სათვის ყოველი კარიერული გეგმისა და ეკონომი-
კურ გარანტიებზე, ყოველ ქონებაზე და გრძნობებზე
უარის თქმით, შენ პირდები ახალი თანაზიარების
სიხარულს მრავალ ძმასთან და დასთან; პირდები
„მარადიულ“ სიცოცხლეს, ნამდვილ სიცოცხლეს,
რომელსაც სიკვდილი ვერაფერს დააკლებს.
წმიდაო ბენედიქტე, შენს ლოცვას მოვანდობთ
ჩვენს ახალგაზრდებს, რათა ეძიონ იესო, შეხვდნენ,
ყური დაუგდონ და გამბედაობით გაჰყვნენ მის ხმას,
რათა ამგვარად პოვონ ბედნიერება!

დაბ 41,55-57; 42,5-7.17-24; ფს 32; მთ 10,1-7

იესომ მისცა მათ ხელმწიფება არაწმიდა სულებზე მთ 10,1

ვამჩნევ ხოლმე, რომ როცა ვღებულობ შენს მოხმობას და მოვდივარ შენთან, რათა შენს ფერხთით გავჩერდე, თუნდაც უსიტყვოდ, შენ მავსებ წმიდა სულის ნიჭით. ამგვარად აღმოვაჩენ ხოლმე, რომ მეტი ძალა შემწევს, რათა დავძლიო ის, რასაც შენგან და ძმებისაგან შორს მივყავარ. მადლობას გწირავ, უფალო იესო!

13 ივლისი

2017

რიგითი XIV კვირა [II] მწ

წმ. ჰენრიხი, + 1024;

(30.VI) წმ. დინარ დედოფალი, X ს.

ხუთშაბათი

დაბ 44,18-21.23-29; 45,1-5; ფს 104; მთ 10,7-15

ფასასყიდლოდ მიგიღიათ,
ფასასყიდლოდვე გაეცით მთ 10,8

სიყვარული მუდამ უანგაროა, სხვანაირად ხომ სიყვარულიც არ იქნებოდა. ჩვენ, ქრისტიანებმა ვუწყით, რომ სიყვარულის სახლი და წყარო მამის გულია. და იესო თავად მამის სიყვარულია ჩვენთვის რომ ისხამს ხორცს. ჩვენში მყოფი იესო გვაპურებს ჩვენ და ამავდროულად მიეძღვნება მათ, ვინც გზაზე გვხვდება.

14 ივლისი

2017

რიგითი XIV კვირა [II] მწ

წმ. კამილო დე ლელისი +1614
კამილიელთა ორდენის დამაარსებელი

პარასკევი

დაბ 46,1-7.28-30; ფს 36; მთ 10,16-23

თქვენ კი არ ილაპარაკებთ, არამედ მამის სული ილაპარაკებს თქვენში მთ 10,20

ამ სიტყვას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენთვის. იმისათვის რომ იესო კარგად დავამოწმოთ, გინდ ყოველდღიურ შეხვედრებში და საუბრებში, გინდ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში, რაც გვეძლევა ხოლმე, საჭიროა წინასწარ სიტყვების კი არა, არამედ გულის გამზადება: დაე, მუდამ შეეძლოს მამას მასში დგომა და ამგვარად ჩვენი პირით საუბარი!

15 ივლისი

2017

რიგითი XIV კვირა [II]

წმ. ბონავენტურა, ეპ. და მოძ. +1274, (მ) თ

შაბათი

დაბ 49,29-33; 50,15-26; ფს 104; მთ 10,24-33

ნუ გეშინიათ, თქვენ მრავალ ბელურაზე მეტი ხართ მთ 10,31

იესოს იმის თქმა როდი უნდა, რომ სირთულეები არასოდეს მესტუმრება, რომ ცხოვრებაში ყველაფერი კარგად წამივა, რომ ყველაფერი წყნარად იქნება. არა, მას სურს დამარწმუნოს, რომ ყოელივეს, რაც კი შეიძლება შემემთხვეს, მამის მზერა დაჰყურებს. ყველაზე კუნაპეტ მდგომარეობაშიც კი, რომელშიც შესაძლოა აღმოვჩნდე, მისი ხელია რომ არასოდეს მიმატოვებს; მისი მკლავი, ამსოფლად სიცოცხლეც რომ წამერთვას, გულში ჩამიკრავს და შემიძღვება თავის სიცოცხლეში.

16 ივლისი

2017 ვირა

ეს 55,10-11; ფს 64; რომ 8,18-23; მთ 13,1-23

ნეტარ არიან თქვენი თვალები, რადგან ხედავენ მთ 13,16

მადლობა, უფალო იესო, რომ აგვირჩიე! ვიცნობთ შენს სიყვარულს, ერთადერთ ნამდვილ და სავსე სიყვარულს; გულით ვინახავთ შენს სიტყვებს, ნათელი რომ მოაქვთ და მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენი ცხოვრების ყოველ წუთს; შენთან ერთად უკვე სიკვდილისკენ კი აღარ მივეშურები, არამედ მამისაკენ. იესო, მწადია შევინახო, დავიცვა შენი ნიჭი როგორც ჩემი ყველაზე დიდი საუნჯე და, ამგვარად, ნათელი ვიყო სხვათათვის!

17 ივლისი

2017 ორშაბათი

გამ 1,8–14.22; ფს 123; მთ 10,34 – 11,1

ვინც დაკარგავს თავის სიცოცხლეს ჩემი გულისთვის, ჰპოვებს მას მთ 10,39

შენთვის, იესო, ცოტათი ადრე ვდგები და ვლოცულობ. შენთვის, იესო, ენას ლაგამს ვდებ, რათა არ ვუპასუხო უსიყვარულოდ. შენთვის, იესო, ჩემს დასვენების დღეს ერთ საათს ვუთმობ მარტოხელა ადამიანის მონახულებას. შენთვის, იესო, ჩემს თოჯინას ვათხოვებ ჩემს ავადმყოფ დაიკოს. შენთვის, იესო...

ქრისტიან მშობლებს არ ეშინიათ მათი შვილების ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუშვან იესო. უწყიან, რომ ესაა მათი ნამდვილი შეყვარების გზა, გაუხსნან მათ კარი იმ სიცოცხლეზე, რომელიც არ კვდება!

18 ივლისი

2017 სამშაბათი

გამ 2,1–15; ფს 68; მთ 11,20–24

ვაი შენ, ქორაზიმო! ვაი შენ, ბეთსაიდა! მთ 11,21

იესო საყვედურობს ორ ქალაქს, რომლებიც, მიუხედავად იმისა რომ დიდი ნიშნები მოახდინა მან იქ, მათ ყურიც კი არ შეუბერტყავთ, რათა ერწმუნათ მისი. არ მინდა გულმავიწყი ვიყო მე დღეს: მადლიერებით მსურს გავიხსენო ყველაფერი, რაც იესომ ჩემს ცხოვრებაში მოიმოქმედა და რომ მან მომიძღვნა ეს ჩემი ცხოვრება; და არ ვიზარმაცებ სარწმუნოების გზაზე, არ დავიზარებ და სასოებით მივენდობი სიყვარულით ყოვლისმპყრობელ მის ხელებს!

ოთხშაბათი

გამ 3,1-6.9-12; ფს 102; მთ 11,25-27

მე ვიქნები შენთან გამ 3,12

რამდენჯერ, შესაძლოა ამ დილითაც, გაღვიძებისას დოლაბივით მძიმე გვეჩვენა ახალი დღე და ის, რაც მისგან გველის. *„მე ვიქნები შენთან“*, გვეუბნება უფალი, 'ნუ გეშინია; ვიცი, რთულია, ვიცი, რომ გგონია, ვერ შეძლებ: ჩემი იმედი გქონდეს, მე გავართმევ თავს. პატარებთან და უძლურებთან მე დიდი საქმეების კეთება შემიძლია'.

20 ივლისი

2017

რიგითი XV კვირა [III] მწ

წმ. აპოლინარიუსი, ეპ. და წამ., II ს.

ხუთშაბათი

გამ 3,13-20; ფს 104; მთ 11,28-30

მამათქვენის ღმერთმა მომავლინა თქვენთან გამ 3,13

გმადლობ, უფალო იესო, იმ რწმენისათვის, რაც ჩემი მამა-პაპისათვის მოგინიჭებია. ვიცი, მუდამ მათთან იყავი და შეეწეოდი მათ. შენ იყავ მუდამ ჩემი მწყემსიც, ჩემი უფალი, ღმერთი ჩემი! თაობა თაობას გადასცემდეს შენს სიყვარულს!

21 ივლისი

2017

რიგითი XV კვირა [III] მწ

წმ. ლავრენტი ბრინდიზელი, ხუც.და მოძ. +1619;
(8.VII) წმ. მოწამე მირდატ მეფე +410

პარასკევი

გამ 11,10 – 12.14; ფს 115; მთ 12,1–8

კამილიელ მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

გულმოწყალება მწადია
და არა მსხვერპლი

მთ 12,7

მსურდა დილის ყავაზე მეთქვა უარი ზოგჯერ, ცოტა-თი მეც რომ მქონოდა წილი იესოს მსხვერპლში. არ გამომდიოდა: ვიყავი მოდუნებული, გაღიზიანებუ-ლი, უგულისყურო... იესომ გამაგებინა, რომ უფრო კმაყოფილი იქნებოდა, თუ ყავას დავლევდი და ძალისხმევას არ დავიშურებდი გულმოწყალების, ურთიერთგაგებისა და მსახურების პატარა საქმეებ-ში. ახლა, როდესაც დილაობით ყავასა ვსვამ, გულში მადლობას ვეუბნები იესოს, და გადავწყვეტ მთელი ძალებით მივეძღვნა დღის განმავლობაში, მისი გუ-ლმოწყალების ცხოვრებაში განხორციელებას.

22 ივლისი

2017

რიგითი XV კვირა [III], თ

წმ. მარიამ მაგდალელი, დ, [ს],

შაბათი

ქებ 3,1–4 (ან, 2კორ 5,14–17); ფს 62; იო 20,1–2.11–18

დედაკაცო, რად ტირი? ვის ეძებ? იო 20,15

შენ, წმიდაო მარიამ მაგდალელო, გვასწავლი იესოს ძებნას: შენ მიხვდი, რომ იგი იყო ყველაფერი ჩვენთვის. საკუთარი გამოცდილებით გვიდასტურებ, რომ იესო მოვა და ნუგეშსა გვცემს, როდესაც მას მთელი გულით დავუწყებთ ძებნას!

23 ივლისი

რიგითი XVI კვირადღე, «ა», [IV], მწ

2017 კვირა

სიბრძ 12,13.16-19; ფს 85; რომ 8,26-27; მთ 13,24-43

მტერი მოვიდა და ღვარძლი ჩათესა ხორბალში მთ 13,25

იმის ცოდნა, რომ ღვარძლი მტრის მიერაა ჩათესილი, საკმარისი უნდა იყოს ჩემთვის, რომ არ მივცე მას გასაქანი. მაშასადამე, არ ავყვები მრევლის იმ წევრის ჭორებს, ერთი ნათესავის სიძუნწეს, იმ თანამშრომელს, ჩემს რწმენას რომ დასცინის და ხელს მიშლის ხოლმე მუშაობაში, მეზობელს, რომელიც თითქოს განგებ ანაგვიანებსო სადარბაზოს... არათუ ღვარძლმა, არამედ შენი სიყვარულის მოთმინებამ, უფალო იესო, გამოიღოს ნაყოფი! შენ სძლიე იმ მტერს: მე კი შენ გებღაუჭები!

24 ივლისი

2017

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

წმ. სარბელიუს მახლუფი, ხუცესი, +1898

ორშაბათი

გამ 14,5-18; საგ: გამ 15,1-6; მთ 12,38-42

ნუ შეშინდებით! გამაგრდით გამ 14,13

მოსე ამხნევებს ისრაელიანებს, რომლებიც
დადევნებული ეგვიპტელების შიშით უკან
დაბრუნებას აპირებენ. რთულ წუთებში მეც ბევრჯერ
გავუმხნევებივარ ქრისტესმიერ ძმას. მიხილავს,
რომ იესო მუდამ შეეწევა და განსაცდელის შემდგომ
ანუგეშებს. იოლი არაა მის კვალში სიარული,
სამაგიეროდ ესოდენ მშვენიერია!
მხოლოდ მას შეუძლია გულების ავსება.

25 ივლისი

2017

წმ. იაკობ მოციქული, დ, [ს], წ;

(12.VII) ღირსნი იოანე და გაბრიელ ათონელნი (X ს.)

სამშაბათი

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

მწამდა, ამიტომაც ვლაპარაკობდი 2კორ 4,13

ეს სიტყვა მაგონებს იმ მრავალი ძმის სიმამაცეს, რომლებიც მოწმობენ თავიანთ რწმენას იესოში. ეს სიმამაცე გააჩნდათ მოციქულებს, რომელთა რიცხვშიც იყო იაკობი; ეს სიმამაცე გააჩნდა მრავალ პირველ მოწაფეს, რომლებსაც წამებულებად მოვიხსენიებთ; ეს სიმამაცე გააჩნია მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხეში დევნილ მრავალ ქრისტიანს. ჩემს ირგვლივაც არიან გაბედული მოწმენი. მეც მწადია ვილაპარაკო ზოგჯერ სიტყვებით და მუდამ ცხოვრებით, რათა ჩემს ირგვლივ დავამოწმო ის სიყვარული, რომელსაც მამა მანიჭებს იესოში.

26 ივლისი

2017

რიგითი XVI კვირა [IV], თ

წმიდანი იოაკიმე და ანა,
მშობელნი ნეტარი ქალწული მარიამისა, (მ)

ოთხშაბათი

გამ 16,1-5.9-15; ფს 77; მთ 13,1-9

აჭა, მე ვაწვიმებ თქვენთვის ჰურს ზეციდან გამ 16,4

ასე პასუხობს მამის გული უდაბნოში მის წინააღ-
მდეგ აწუწუნებულ ერს.
მამაო ჩემო, შენ მიგყავარ ამ ცხოვრების უდაბნოში,
მიფარავ, ყოველდღიურად იესოში მაძლევ *„ზეციურ
პურს“*: ის ხომ სწორედ ჩემთვის განამზადე, ჩემს
მაძღრისად დასაპურებლად; მთელი შენი სიყვა-
რული ჩადე მასში! აღარ მინდა დაჩივლება, მამაო
ჩემო. მომიტევე!

27 ივლისი

2017

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

ხუთშაბათი

გამ 19, 1-2.9-11.16-20; საგ: დან 3,52-56; მთ 13,10-17

ნეტარ არიან თქვენი თვალები, რომ ხედავენ და თქვენი ყურები, რომ ისმენენ მთ 13,16

იესო, შენა ხარ ის ნანატრი მესია, *თვალებს რომ უხელს ბრმებს* და *სასმენელს უხსნის ყრუებს*! შენ გვიჩვენებ მამის სახეს და შინაგანად გვაპურებ; შენ გვაგებინებ სიცოცხლის შენს სიტყვას. ამ ნეტარება-ში კი ვის გულისხმობ? მას, ვინც ცდილობს მოგე-ნდოს შენი და შენი საქმიანობის მიღებით.

28 ივლისი

რიგითი XVI კვირა [IV] მწ

(15.VII) წმმ. ივლიტა და კვირიკე, წამ. (+ ~305)

2017 პარასკევი

გამ 20,1-17; ფს 18; მთ 13,18-23

არ წარმოთქვა ამაოდ უფლის სახელი გამ 20,7

ღმერთმა მოსეს საშუალებით სხვა მცნებებს შორის ეს მცნებაც მოგვცა: დღეს ლიტურგიის პირველ საკითხავში ვისმენთ მას. ყოველი მცნება ბუნებრივ გამოძახილს პოვებს ადამიანის სინდისში, იმ 'ინსტრუქციას' ჰგავს, რომელიც დაურთო ჩვენმა შემოქმედმა თავის შედევრს, ადამიანს, რათა მან კარგად 'იმუშაოს'. ნამდვილად, ადამიანი, რომელიც მისდევს მათ იხარებს მოწესრიგებული და მშვიდი ცხოვრებით და მზად იქნება მიიღოს რჯულის სისავსე და აღსრულება – იესო.

29 ივლისი

2017

რიგითი XVI კვირა [IV], თ

წმ. მართა (მ)

შაბათი

1იო 4,7-16; ფს 33; იო 11,19-27 (ან, ლკ 10,38-42)

ვისაც სწამს ჩემი, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს იო 11,25

წმიდა მართასთან და ყველა შენს წმიდანთან ერთად მეცა მწამს, იესო, რომ შენა ხარ მამის ნიჭი, ჩემთვის გამოწვდილი ძღვენი: უძლური ვარ და შენი წმიდა სული შემეწევა მე; ცოდვილი ვარ, და შენი მსახურის პირით მეუბნები მოტევების სარწმუნო სიტყვას; დაბნეული ვარ და შენი სიტყვა მინათებს გზას; დამცირება, ვერგაგება, მარტოობა შემეყრება და ჩემი ძალებიც დღითი დღე სუსტდება, ამ დროს შენს მკლავებში ვპოვებ სიმყარეს, ნამდვილ სიცოცხლეს. შევეცდები შენთან ვიყო, იესო!

30 ივლისი

რიგითი XVII კვირადღე, «ა», [I], მწ

2017 ვირა

3მეფ 3,5.7-12; ფს 118; რომ 8,28-30; მთ 13,44-52

მოვლენ ანგელოზნი და გააცალკევებენ ბოროტებს კეთილებისგან მთ 13,49

მაშასადამე, ეს თურმე ანგელოზთა საქმე ყოფილა და ჩვენ არა გვმართებს არც განსჯა-განკითხვა, არც გაძევება; ჩვენ გვმართებს სიყვარული, გვმართებს მსახურება, გვმართებს ვიყოთ მამის გულისა და იესოს ჯვრის იარაღი, რომელსაც სწადია მხოლოდ და მუდამ ადამიანის გადარჩენა.

31 ივლისი

2017

რიგითი XVII კვირა [I], თ

წმ. ეგნატე ლოიოლა, ხუც., +1556, (მ)

ორშაბათი

გამ 32,15-24.30-34; ფს 105; მთ 13,31-35

ვინც შესცოდა ჩემს წინაშე,
მას ამოვშლი ჩემი წიგნიდან გამ 32,33

უდაბნოში გასულმა ერმა მიატოვა თავისი ღმერთი, შეიქმნა კერპი და თაყვანი სცა მას. ყოველი კერპთმსახურება – დღევანდელი, ჩვენ რომ გვეხება – გვშლის ღვთის 'წიგნიდან' და გვაშორებს მასთან თანაზიარებისაგან. ჩვენს აღსადგენად მამის სიყვარულმა მიაგნო გამოსავალს: იესოში დაგვიახლოვდა, შევიდა ჩვენს სიკვდილში, იგი, რომელიცაა სიცოცხლე!
მამაო, ძეო და წმიდაო სულო, ჩემო ერთადერთო ღმერთო, თაყვანსა გცემ და მადლობას გწირავ!